ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 3/62

ქ. თბილისი

19 თებერვალი, 2018 წელი

შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე.

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო" (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის პაატა დოლიძის სახით და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე ვალერიან სოფრომაძე (შემდგომში _ მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს" ბიუჯეტის სახსრებით (პროგრამა), სატრანსპორტო საშუალების მძღოლთან ერთად დაქირავების მომსახურების შესყიდვა (CPV კოდი 60170000) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტია: 2018 წლის 19-24 თებერვალს მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებზე დაგეგმილი მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის და მისი მრჩეველი ორგანოების: ICOMOS-ისა ICCROM-ის ერთობლივი რეაქტიული მონიტორინგის მისიის განხორციელების ფარგლებში მიწვეული სტუმრებისთვის სამგზავრო სატრანსპორტო (მინივენი მერსედერსი ვიანო, 7 ადგილიანი, სახ. #YV694VY) საშუალების დაქირავება მძღოლთან ერთად 2018 წლის 19-24 თებერვალს დანართში მოცემული მარშუტის მიხედვით (იხ.დანართი 1)

2. ხელშეკრულების ერთეულის და საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **850,00 (რვაასორმოცდაათი)** ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2018 წლის 19-24 თებერვალი.

5. შესყიდვის ობიქტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს თანამშრომელი - გ. იაშვილი.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორების მოხდება ერთ ეტაპად, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.5 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“	ინდ. მეწარმე ვალერიან სოფრომაძე
მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5	მის: ქ. თბილისი, წულაძის ქ #1
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს. „ლიბერთი ბანკი”
კოდი: TRESGE22	კოდი: LBRTGE22
ა/ა # GE24NB0330100200165022	ა/ა # GE13LB0711196904618000
ს/კოდი: 204562311	ს/კოდი: 01011005442
გენერალური დირექტორის მოადგილე	ინდივიდუალური მეწარმე
პაატა დოლიძე	ვალერიან სოფრომაძე

დანართი 1:

2018 წლის 19-24 თებერვალს მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებზე მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ ICOMOS-ისა ICCROM-ის ერთობლივი რეაქტიული მონიტორინგის მისიის გადაადგილების წინასწარული გეგმა-გრაფიკი

თარიღი	*დრო*	*მარშრუტი*	*შენიშვნა*
19 თებერვალი,	*17:15*	*ქ-ნი კატრი ლიზითსინის და ბ-ნი ალკივიადეს ჰრეპისის აეროპორტში დახვედრა და სასტუმრო კმმ-ში დახვედრა*	სასტუმრო კმმ-ს მისამართი: მეტეხის შესახვევი #10
	18:30	*ქ-ნი ანა სიდორენკოს აეროპორტში დახვედრა და სასტუმრო კმმ-ში მიყვანა*	
20 თებერვალი,	*10:00*	*სასტუმრო კმმ-იდან სტუმრების ეროვნული სააგენტოს კრწანისის ოფისში მიყვანა*	*ეროვნული სააგენტოს ოფისი: კრწანისი ქუჩა 58*
	13:00	*სტუმრების ეროვნული სააგენტოდან კაფე გაბრიაძე-ში მიყვანა*	*კაფე: შავთელის ქუჩა (კონქასთან)*
	15:00	*კაფე გაბრიაძიდან ეკონომიკის სამინისტროში მიყვანა*	*ჭოველიძის ქ. № 10 ა*
	18:00	*ეკონომიკის სამინისტროდან-სასტუმრო კმმ-ში მიყვნაა*	
	19:00	*სასტუმრო კმმ-იდან რესტორან პურის სახლში მიყვანა*	*რესტორანი: ჩანტლაძის 40, ძველი თბილისი, აბანოების შემდეგ*
	22:30	*რესტორან პურის სახლიდან სასტუმრო კმმ-ში მიყვანა*	
21 თებერვალი,	*09:30-19:00*	*სასტუმრო კმმ-დან მცხეთაში წაყვანა*	*მცხეთაში მოსავლელია: სვეტიცხოველი, სამთავრო, ჯვრის მონასტერი, რესტორან ღვინის პალატში მიყვანა; ასევე დამატებით, ადგილზე შეიძლება დადგეს სხვა ვიზუალური აღქმის წერტილების სანახავად გადაადგილების საჭიროება*
	19:00	*მცხეთიდან სასტურმო კმმ-ში მიყვანა*	
22 თებერვალი	*09:30*	*სასტუმრო კმმ-იდან მუნიციპალური განვითარების ფონდში მიყვანა*	*დ. აღმაშენებლის 150.*
	12:30	*მდფ-იდან საპატრიარქოში მიყვანა*	
	15:00	*საპატრიაქროდან კაფე გაბრიაძეში მიყვნა*	*საქართველოს საპატრიარქო*
	17:00-20:00	*კაფე გაბრიაძიდან მცხეთაში წაყვანა*	
	20:00	*დაბრუნება მცხეთიდან და სასტურმო კმმ-ში მიყვანა*	
23 თებერვალი	*09:30*	*სასტუმო კმმ-იდან კულტურის სამინისტროში მოყვანა*	*სანაპიროს 4*
	12:00	*კულტურის სამინისტროდან კაფე გაბრიაძეში მიყვანა*	
		კაფე გაბრიაძიდან ეკონომიკის სამინისტროში მიყვანა	
		ეკონომიკის სამინისტროდან სასტუმო კმმ-ში მიყვანა	
24 თებერვალი	*03:00*	*სასტუმრო კმმ-იდან აეროპორტში ტრანსფერი სტუმრების:* *1. ალკივიდადეს ჰრეპისი* *2. ანა სიდორენკო*	*1. Flight #3109; Klm Royal Dutch Airlines KL; Departure at: 05:35 am* *2. Flight: TK 1846 TURKISH AIRLINES; Departure at: 05:40*
	09:30	*სასტუმრო კმმ-იდან აეროპორტში ტრანსფერი სტუმრის:* *1. კატრი ლიზითსინი*	*Flight # TK379; Turkish Airlines; Departure at: 12:00 pm*

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

19 თებერვალი, 2018 წელი

ქ. თბილისი

სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს გენერალური დირექტორის მოადგილე და ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე უფლებამოსილი წევრი ვადასტურებთ, რომ **სსიპ "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"-ს** მიერ **სატრანსპორტო საშუალების მძღოლთან ერთად დაქირავების მომსახურების შესყიდვის პროცედურაში** ხელშეკრულება #3/62 19.02.2018 წ. ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

გენერალური დირექტორის მოადგილე:

პ. დოლიძე

ჯგუფის წევრი:

გ. იაშვილი